თავი 20

სტრატეგიული დაგეგმვა და კონტროლი

1. რომელია სწორი მსჯელობა:

ა) მისია არ არის დროით შემოფარგლული;

ბ) მისია ძალიან ზოგადი განცხადებაა ორგანიზაციული ერთეულის შესახებ;

გ) ორივე მსჯელობა სწორია.

2. რომელია არასწორი მსჯელობა:

ა) ერთერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის მისიაზე, ეს არის ორგანიზაციის მენეჯერების მიმდინარე პრიორიტეტები;

ბ) ზოგადად, ორგანიზაციის მიზნები გამოსახულია დათვლად ერთეულებში;

გ) მიზნების გაცხადება ამოცანებზე ადრე ხდება.

3. ფინანსურ ტერმინებში გამოხატული საოპერაციო ეგგმა ეს არის:

ა) მიზანი;

ბ) ამოცანა;

გ) ბიუჯეტი.

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მსჯელობა:

ა) მიზანი არის ორგანიზაციის ცალკეული მახასიათებლების კონკრეტული მდგომარეობა, რომლის მისაღწევადაც არის მიმართული ორგანიზაციის საქმიანობა;

ბ) მიზნები არის დროში გაწერილი ქმედებები, რომლებიც გამომდინარეობს მისიიდან და იქმნება სტრატეგიის ჩამოყალიბებამდე;

გ) ორივე პასუხი არასწორია.

5. სტრატეგია გვიჩვენებს:

ა) როგორ ვგეგმავთ მიზნის მიღწევას;

ბ) როგორ ვმოქმედებთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;

გ) ორივე პასუხი სწორია.

6. სტრატეგიული დაგეგმვისას უფრო საყურადღებოა:

ა) დანახარჯების და შემოსავლების აბსოლუტური მნიშვნელობები;

ბ) დანახარჯების და შემოსავლების შედარებითი მნიშვნელობები;

გ)ორივე პასუხი სწოია.

7. შიგა კონტროლის სისტემის ეფექტიანობას განსაზღვრავს:

ა) ორგანიზაციის საჭიროების ასახვა;

ბ) გადახრების ზუსტი და სწრაფი შეტყობინება;

გ) ორივე მათგანი.

8. ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა გამოხატავს ყველაზე უკეთ უკუკავშირის კონტროლის არსს:

ა) იგი აკონტროლებს მიმდინარე პროცესს;

ბ) იგი ზომავს პროცესის შედგეს და შედეგის მიღების შემდეგ იძლევა ინფორმაციას შემასწორებელი ქმედების შესახებ;

გ) არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

9. ტერმინები "პროგრამირებადი" და "არაპროგრამირებადი" გამოიყენება

ა) დაგეგმვის სხვადასხვა ეტაპების შედეგის გაზომვასთან მიმართებაში;

ბ) პროცესის შემავალ და გამომავალ კომპონენტებს ორის ურთეირთდამოკიდებულების განსაზღვრასთან მიმართებაში;

გ) ორივე შემთხვევაში.

10. ოპერატიული დაგეგმვის დროს:

ა) კონკრეტულ პერიოდში ხდება ერთ ამოცანაზე დაკვირვება;

ბ) იგეგმება უახლოეს მომავალში კომპანიის ყოველდღიური საქმიანობა;

გ) სწორია ორივე პასუხი.

11. წინმსწრები უკუკავშირის კონტროლი:

ა) ადგენს პროცესის გამოსავლიანობას;

ბ) ზომავს საქმიანობის შედეგებს;

გ) ორივე პასუხი სწორია.

12. ოპერატიული კონტროლის დონეზე:

ა) მოითხოვება მენეჯმენტის ხშირი ჩარევა

ბ) პროგნოზირება უფრო ზუსტია

გ) ორივე პასუხი სწორია

13. საკონტროლო წერტილების მონიშვნა:

ა) გამოიყენება ოპერატიული დაგეგმვის დროს;

ბ) სამუშაოს ხარისხის განმსაზღვრელი სისტემაა;

გ) მოიცავს კონკურენტების შესახებ მხოლოდ არაფინანსური ინფორმაციის მოგროვებას.

14. "SWOT"ანალიზი გამოიყენება:

ა) დაგეგმვისას, პროგნოზირებულ და ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის გარღვევის აღმოსაფხვრელად;

ბ) თავდაპირველი სტრატეგიის ჩამოყალიბებისას;

გ) ორივე პასუხი სწორია.

15. "SWOT"ანალიზი, ეს იგივა რაც:

ა) კომპანიის გარე და შიგა გარემოს ანალიზი;

ბ) კომპანიის სტრატეგიის ფორმულირების ერთერთი ეტაპი;

გ) ორივე პასუხი სწორია.

16. რომელია სწორი მსჯელობა:

ა) "SWOT" ანალიზი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ორგანიზაციის მიზნების და ამოცანების განსაზღვრის საფუძველი;

ბ) შენარჩუნების სტრატეგიის არჩევის ერთერთი სესაძლო მიზეზი საზოგადოებრივი აზრის ზეწოლაა;

გ) ორივე მსჯელობა სწორია.

17. მართვის სინერგია არის:

ა) უპირატესობა, რომელიც მიიღწევა, როცა ერთი საქმიანობიდან მიღებული მართვის გამოცდილება გამოიყენება საქმიანობის ახალ სფეროშიც;

ბ) როცა ხდება რამოდეინმე საქმიანობის ერთობილივი წარმატებული მართვა;

გ) ორივე მსჯელობა სწორია.

18. საოპერაციო სინერგია მიიღწევა

ა) საოპერაციო საშუალებებისა და პერსონალის უფრო ეფექტური გამოყენებით, წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდით;

ბ) ორი სფეროდან მიღებული მართვის გამოცდილების ახალ სფეროში გამოყენებით;

გ) მიიღწევა მარკეტინგულ საშუალებათა გამოყენებით.

19. უარყოფითი ზრდის სტრატეგიის არჩევის შემთხვევაში:

ა) გაიზრდება შეფარდებითი უკუგება დაბანდებულ კაპიტალზე;

ბ) შემცირდება დაბანდების საერთო მოცულობა;

გ) ორივე პასუხი სწორია.

20. სარეცხი ფხვნილი „ბარფი“ და საპონი „სეიფგარდი„ შეთავსებადი პროდუქტებია. კომპანიებმა გადაწყვიტეს შერწყმა. შედეგად: მანქანა-დანადგარების, კვლევისა და განვითარების გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება ეს არის:

ა) გაყიდვების სინერგია;

ბ) საინვესტიციო სინერგია;

გ) საოპერაციო სინერგია.